# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 48.58.1016

„26" დეკემბერი 2017 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი შრომის ანაზღაურების ოდენობის შეთანხმების თაობაზე

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის 21-ე მუხლის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. შეთანხმებულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 25 (ოცდახუთი) ერთეულით გაზრდისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის საკითხი, დანართის შესაბამისად.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 378 254, ფაქსი: (+995 32) 378 202

| ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა | შრომის ანაზღაურება ერთ ერთეულზე |
|---|---|---|
| მერიის ადმინისტრაცია | 2 | 5600 |
| მერიის ადმინისტრაცია | 1 | 5200 |
| მერიის ადმინისტრაცია | 2 | 2375 |
| მერიის ადმინისტრაცია | 3 | 3500 |
| მერიის ადმინისტრაცია | 1 | 1700 |
| მერიის ადმინისტრაცია | 2 | 2500 |
| მერიის ადმინისტრაცია | 1 | 1250 |
| მერიის ადმინისტრაცია | 2 | 1500 |
| მერიის ადმინისტრაცია | 1 | 4000 |
| მერიის ადმინისტრაცია | 2 | 3600 |
| ზედამხედველობის საქალაქო სამსახური | 1 | 3600 |
| იურიდიული საქალაქო სამსახური | 2 | 3600 |
| ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური | 3 | 3600 |
| ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური | 1 | 3600 |
| მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური | 1 | 3500 |